# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

28 მაისი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 97 (10510) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# გარბენი, რომელმაც ახალ გზაზე გაგვიყვანა

**მასობრივი სპორტული ღონისძიებები ხშირად მოჩვენებითი იყო და დიდი ხმაურით ტარდებოდა. ამჯერად ყველაფერი ძალდაუტანებლად მოხდა, გარბენი დინჯად და მასში მონაწილეობის უდიდესი პირადი სურვილით ჩატარდა. დაინტერესებით ეს სპორტული ასპარეზობა უოველნაირად პროფესიულ დონემდე ამაღლდა, ფაქტობრივად ახალ გზაზე გაგვიყვანა. მთავარი ეს გახლავთ, დანარჩენი თავისთავად მოვა.**

**ჯერ კიდევ** სტარტამდე რამდენიმე წუთით ადრე ქალაქში ჩვეული რიტმი იგრძნობოდა, გარბენის ტრასა (თავისუფლების მოედანი — ეროვნული სტადიონი) ისევ ტრანსპორტს ჰქონდა დათმობილი...

სალამოს შვიდის ნახევრისათვის მოედანი და მისი მომიჯნავე რუსთაველის პროსპექტის მონაკვეთი თითქოს გაირინდა და გამვლელთა ყურადღება მიიპყრო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ყოფილმა შენობამ. მის წინ შეგროვდა მონაწილეთა „ქარავანი“, რომელსაც ხუთკილომეტრიანი მანძილი უნდა გაერბინა. გმირთა მოედანზეც ელოდნენ სტარტს, ოღონდ, აქ სასპარეზოდ ემზადებოდნენ ინვალიდებ- (მათ ......ებით მოკლე მან......

იხ. მე-2 გვ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.





თბილისი, 1991 წლის 26 მაისი. ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა საქართველოს ეროვნული გვარდიის პირველი აღლუმი. სურათზე აღლუმის ერთი ფრაგმენტია აღბეჭდილი.

თედო ნიკოლაიშვილის („საქართველოს რესპუბლიკა“) ფოტო.



საქველმოქმედო მატჩი — თბილისის „დინამო-81“ — კიევის „დინამო“-75. გახსოვთ დ. ყიფიანის საფირმო დარტყმები?.. (იხ. მე-8 გვ.).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ეხმარებიან...

**„ლელოს“** საკუთარმა კორესპონდენტმა აჭარაში, მუხრან კობალაძემ, გუშინ, ბათუმიდან გვაცნობა, იმ მატერიალური დახმარების თაობაზე, რაც აჭარის სპორტულმა ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა გაიღეს 29 აპრილს მიწისძვრით დაზარალებულ თანამემამულეთა დასახმარებლად.

● **აჭარის** სპორტკომიტეტი — 4000 მან.

● **საქართველოს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია — 2000; სეოკ-ის პასუხისმგებელი მდივანი ი. დარჩია — 300 მან. პირადი დანაზოგიდან.

● **„შევარდენის“** საოლქო საბჭო — 12000.

● **აჭარის** ჭიდაობის დამოუკიდებელი ფედერაცია — 1000.

● **საფეხბურთო** კლუბი „ბათუმი“ — 4.000; ამ კლუბის პრეზიდენტ რ. ჩელებაძისგან პირადი შენატანი — 300 მან.

● **„დინამოს“** საოლქო საბჭო — 550.

## ცენტრი იმუქრება, საქართველოს ნაკრები ემზადება

როგორც ამას წინათ ვაუწყეთ „ლელოს“ მკითხველებს, ევროპის ბევრი ქვეყანა აუჯანყდა სამბოს საერთაშორისო ფედერაციას. შეგასენებთ ამ პროტესტის მიზეზს: საბჭოთა ნაკრებმა, მისმა ხელმძღვანელობამ, საერთოდ, საბჭოთა სპორტის პოლიტიკამ უინტერესო გახადა სამბისტთა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები სპორტის ამ სახეობაში. ყველა ასპარეზობას როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში, საბჭოთა მოჭიდავეები იგებდნენ. ჯანყი იმით დასრულდა, რომ იტალიის და საფრანგეთის სამბოს ფედერაციის თაოსნობით გადაწყდა, ევროპის ალტერნატიული პირველობის ჩატარება, სადაც „ახალ ფედერაციასაც“ შექმნიან.

გუშინ რედაქციაში გვეწვია სამბოს რესპუბლიკური ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტი ნოდარ ექვთიმიშვილი. სხვათა შორის, ადრე ბატონმა ნოდარმა პირველმა გვაუწყა სამბოს სამყაროში ბუნტის თაობაზე.

რამდენიმე შეკითხვა სტუმარს.

● **რა ისმის ახალი? მოსკოვმა შეიტყო ევროპის ალტერნატიულ ჩემპიონატზე. საქართველოს დამოუკიდებლად მიწვევის ამბავი?**

— შეიტყო და, რომ იტყვიან, ცოფებიც ყარა. ეს ხომ ჩვენს დანგრევას ნიშნავსო, გვლუპავთო და რა ვიცი კიდევ. ისიც დასძინეს; რას ჩქარობთ, დამოუკიდებლები რომ გახდებით, მერე გაერთიანდებით ოფიციალურ ფედერაციაშიო...

● **ვხვდებით, რასაც უპასუხებდით, მაგრამ ჩვენ ამ პასუხზე მათი რეაქცია გვაინტერესებს...**

— რას იტყოდნენ, პირდაპირ დაგვემუქრნენ, ყოველნაირად ხელს შეგიშლითო,

● **ხელის შეშლა მართლაც შეუძლიათ, თუნდაც, ვიზების მიღება საელჩოდან, თვითმფრინავის ბილეთები...**

— ეჭვი არ გვეპარება, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა, პირადად მისმა დირექტორმა ბატონმა კახი ასათიანმა დიდი დახმარება გაგვიწია.

● **სამბოს საერთაშორისო სამყაროდან რაღა ისმის?**

— ევროპის ქვეყნების ჯანყს მსოფლიო ფედერაციის წევრი სახელმწიფოებიც შეუერთდნენ, განსაკუთრებით აზიიდან. ასე რომ, ახლო მომავალში შეიძლება მსოფლიო ფედერაციამაც გაილაშქროს საკავშირო ფედერაციის ქედმაღლობისა და მისი სამბოს სამყაროში ბატონობის წინააღმდეგ.

● **თქვენს გარდა, კიდევ ვინ მიემგზავრება ცალკე გუნდად იტალიაში?**

— რუსეთის და ლიტვის ნაკრები გუნდები.

● **ალბათ, ჩვენი გუნდი უკვე შეადგინეთ, ვინ მოხვდა ნაკრებში?**

— დღეს საბოლოოდ დადგინდა შემადგენლობა — კურდღელაშვილი, მელაძე, თურქია, ნაცვლიშვილი, მჭედლიშვილი, ქარჩაიძე, გაგნიაშვილი, კუპატაძე, ძმები ბერუაშვილები.

● **მალხაზ ბერუაშვილმა ხომ თავი დაანება ჭიდაობას...**

— მართალია, მაგრამ ჩვენი თხოვნით დაბრუნდა. გაგვიგებთ, ევროპის ალტერნატიულ პირველობაში ჩვენს კარგად გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

● **ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.**

# გარბენი, რომელმაც ახალ გზაზე გაგვიყვანა

ეროვნული ბიბლიოთეკა







გარბენის ტრასაზე დაწინაურებულთა ჯგუფი; 74 წლის მიხეილ ვარდიშვილი, გარბენის ყველაზე ხანდაზმული მონაწილე.

(დასასრული)

უნდა დაჯმლიათ) - და ნორჩი მარბენლები, რომელთა შორის იყო გარბენის ყველაზე უმცროსი მონაწილე — 5 წლის თამრიკო ჭკადუა და მისი პირველი სტარტი სპეციალური ჯილდოთი აღინიშნა.

თავისუფლების მოედნიდან სტარტის პირველი მეტრებიდანვე დაწინაურდა სტაიერ ვაჟთა (40 წლამდე) ჯგუფი, რომელიც ერთგვარ ორიენტირად გაიხადა სახალხო ფრონტთან არსებულ რბენის მოყვარულთა კლუბის წევრმა, 40 წელს გადაცილებულმა ოლეგ ხარაზიშვილმა (№ 302). იგი ცდილობდა შეენარჩუნებინა სხვაობა მანძილში და წინაც არავინ გაეშვა. ჯგუფმა ასე ირბინა ბოლომდე, კონსტუდიასთან კი მძლავრი სპურტით წინ გაიჭრა 40 წლამდე სტაიერთა წარმომადგენელი ო. ხოხლოვი, რომელიც თანდათან ზრდიდა მანძილში სხვაობას მასსა და მდევრებს შორის და პირველი მიიჭრა ფინიშთან. მისი დრო 13.08,92. მას კვალდაკვალ მიჰყვა ო. ხარაზიშვილი — 13.11,8 და დაიმსახურა მთავარი პრიზი — „ჟიგულის" მარკის ავტომანქანა, რომელიც ვეტერანთათვის იყო დაწესებული.

ეს მანძილი ქალთა შორის გამარჯვებულმა ახალციხელმა ლამზირა კაპანაძემ 17.15,00 წამში გაირბინა.






თამრიკო ჭკადუა ყველაზე უმცროსი იყო გარბენის მონაწილეთა შორის; სულით ძლიერნი! ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



ხარაზიშვილი ფინიშს უახლოვდება (მარჯვნივ).



გარბენის მთავარმა ჯილდომ „იპოვა" თავისი პატრონი.

## ჰმარცხლგეკი

თავისუფლების მოედანი — ეროვნული სტადიონი — **16-19 წელი. გოგოები:** 1. ეკა თევზაძე (თბილისი) — 17.05,2; 2. ეკა კობალაძე (ცხინვალი) — 17.11,0; 3. ნადეჟდა შახნენკო (თბილისი) — 19.28,6. **ჭაბუკები:** 1. ანდრეი ნაუმოვი (რუსთავი) — 13.25,39; 2. ზურაბ ჯაჭვლიანი (გარდაბანი), — 13.54,2; 3. თემურ გასანოვი (თბილისი) — 14.05,0. **20-39 წელი. ქალები:** 1. ლამზირა კაპანაძე (ახალციხე) — 17.15,00; 2. ელისაბედ ბერნაძე — 18.04,00; 3. ლიუდმილა ეშაკოვა (ორივე — თბილისი) — 19.52,00. **ვაჟები:** 1. ოლეგ ხოხლოვი — 13.08,92; 2. სერგეი არტამონოვი (ორივე—თბილისი), — 13.15,00; 3. დიმიტრი ცომარიტოვი (რუსთავი) — 13.43,0. **ვეტერანები. ქალები:** 1. როზა პოლოსოვა (თბილისი) — 23.18,0; 2. ლალი მორჩილაძე (გორი) — 23.57,0; 3. ულიანა სვეტლიჩნაია (თბილისი) — 25.03,8. **ვაჟები:** ოლეგ ხარაზიშვილი — 13.11,8; ვალერი გედევანიშვილი (ორივე — თბილისი)— 13.33,1; 3. ჯემალ გაბიტაშვილი (გარდაბანი) — 16.30,3. **ინვალიდები:** 1. ლიანა გოგიტიძე. **ვაჟები:** 1. დავით შაქიაშვილი; 2. ალეკო მამალაძე; 3. დავით მათითაიშვილი.

შ. ჩიჩინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა





# სიკეთის ზეიმი

**ფეხბურთის** მოყვარულებს კარგად ახსოვთ, რომ შარშან საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა პირველი ამხანაგური მატჩი გამართა ლიტვის გუნდთან. მაშინ სურვილი გამოითქვა, ტრადიციად გვექცია ეროვნულ სტადიონზე ამ დღისადმი მიძღვნილი მსგავსი ზეიმების მოწყობა.

და აი, წელს მეორედ შევკრიბეთ ეროვნული ნაკრები, მოვიწვიეთ უკრაინული ფეხბურთის ლეგენდარული გუნდი — კიევის „დინამოს" 1975 წლის შემადგენლობა, კიდევ ერთხელ ვიხილეთ მწვანე სარბიელზე ჩვენი საამაყო, 1981 წლის თბილისის „დინამო". დაგვეთანხმებით, დაიდგა დიდი საფეხბურთო სპექტაკლი, რომელმაც მართლაც რომ გაახალისა დიდ ფეხბურთს დანატრებული ქართველი გულშემატკივარი.

„იბერია" — საქართველოს ნაკრები, ევროპული ფეხბურთის ორი გრანდი თბილისის „დინამო"-81 და კიევის „დინამო-75" — აი, ვინ იასპარეზა იმ დღეს. თავიდანვე ვიტყვით, რომ მატჩების შედეგებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია, რადგან შეხვედრების მოწყობის, სტადიონზე გულშემატკივართა მოზიდვის არსი სიკეთით, სიყვარულით, მეგობრისა და მოყვასის არდავიწყებით, დიდი ფეხბურთელის ხსოვნითა და პატივისცემით იყო ნასაზრდოები და შემოსული თანხა მიხეილ მესხის ოჯახს გადაერიცხა.

პირველად მოედანზე თბილისის „იბერია" და საქართველოს ეროვნული ნაკრები გამოვიდნენ. დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა ორთაბრძოლა, რომელშიც ნაკრებმა იმარჯვა — 3:0. ბურთები მელორ ბიგვავამ, მიხეილ ჯიშკარიანმა და დავით მახარაძემ გაიტანეს.

მეორე შეხვედრა, რომელშიც სახელოვანი ვეტერანები მონაწილეობდნენ, ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:1. ჩვენებიდან თავი გამოიჩინეს ვაჟა ჟვანიამ, რამაზ შენგელიამ და ლევან ნოდიამ, ხოლო კიეველთაგან ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა ანატოლი შეპელმა შეძლო. ამ დღეს თბილისელთა რიგებში ვერ ნახავდით ექვს ნომერ მაისურიან ფეხბურთელს — ეს რიცხვი სამარადჟამოდ დარჩა ვიტალი დარასელიას ხსოვნად.

დასასრულ გაგაცნობთ მათ, ვინც ამ შეხვედრებში იასპარეზეს:

**„იბერია"**: ჩხეიძე, არზიანი (მაჰავარიანი), ცხადაძე, შელია (ნემსაძე), გ. ჯიშკარიანი, რევიშვილი, ქეცბაია (შ. არველაძე), ჩიქოვანი, კაჰარავა (ჯამარაული), ინალიშვილი, გოგიჩაიშვილი (ყაველაშვილი).

**საქართველოს ეროვნული ნაკრები**: პანტურია, კვიტატიანი, გუჯაბიძე, კუდინოვი (კიურჯიევი), ტყებუჩავა, ცომაია, გოგრიჭიანი (გიგატაძე), კილასონია, ბიგვავა, მ. ჯიშკარიანი, ყიზილაშვილი (მახარაძე).

**თბილისის „დინამო-81"**: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი (ძოძუაშვილი), თავაძე, (მუჯირი), კაკილაშვილი, კოპალეიშვილი, ქორიძე, ჟვანია, ყიფიანი (ლ. ნოდია), შენგელია.

**კიევის „დინამო-75"**: რუდაკოვი (რომენსკი), დამინი, მატვიენკო, ზუევი, რეშკო, ტროშკინი, კოვალიოვი, საბო (ბიბა), შეპელი, სლობოდიანი, (ბოიკო), კოჩუბინსკი.

**სურათებზე**: საქველმოქმედო მატჩის კაპიტნები და მსაჯები; ფოტო სამახსოვროდ...

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# მერაბ კოსტავას სახელობის ტურნირი

**დასრულდა** მერაბ კოსტავას სახელობის მეორე საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც წლეულს 1976 წელს დაბადებულმა ჭაბუკებმა იასპარეზეს. ტურნირის ორგანიზატორობა ითავეს მ. კოსტავას საზოგადოებამ (თავმჯდომარე ვ. ადამია) და ბავშვთა და მოზარდთა სპორტულმა სკოლამ „მერანმა" (დირ. დ. აბაშიძე). ტურნირს სპონსორობა გაუწიეს კომერციულ-ტურისტულმა ფირმა „ბეტა ომეგამ" (პრეზიდენტი ი. კოკაია), მრავალდარგოვანმა კოოპერატივმა „გორდამ" (თავმჯდომარე თ. ჭკუასელი), ასოციაცია „იყალთო XXI"-მა (პრეზიდენტი გ. ჯღარკავა), ფირმა „სოლოლაკი XXI"-მა.

ტურნირში მონაწილეობდნენ: თბილისის „ავაზა", „იბერია", 35-ე საფეხბურთო სკოლა, „მერანი", „მერანი-2", რუსთავის, ხობის, გურჯაანის გუნდები. შეჯიბრება საინტერესო გახადა უკონკურსოდ მონაწილე გერმანელ ჭაბუკთა გუნდის გამოსვლამ, რომელმაც ფეხბურთის მოყვარულებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გუნდები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ფინალში, რომელიც ჩატარდა 26 მაისის სახელობის სტადიონზე, ერთმანეთს შეხვდნენ „ავაზა" და 35-ე საფეხბურთო სკოლა. შეხვედრა დამთავრდა „ოცდამეთხუთმეტელთა" (მწვრთნელი ო. შენგელია) გამარჯვებით — 1:0. მესამე ადგილი დაიკავა „მერანმა". გამარჯვებულ გუნდს მ. კოსტავას სახელობის გარდამავალი თასი (რომელიც დაამზადა მხატვარ-დიზაინერმა სერგო სავანელმა) გადასცა ბატონმა ვაჟა ადამიამ. დაწესებული იყო აგრეთვე, მრავალი ინდივიდუალური პრიზი, რომელთა მფლობელები გახდნენ თითქმის ყველა გუნდის მოთამაშეები.

ტურნირის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ მომავალში ეს შეჯიბრება დაიხვეწება და მასში მეტი საზღვარგარეთული გუნდი მიიღებს მონაწილეობას. რაც მეტ პრესტიჟს შემატებს ასპარეზობას.

**მიხეილ საგახტარიშვილი**

# უნდა იარონ და ისწავლონ!

ერთხელ მიშა მესხმა ქართული ფეხბურთის პრობლემებზე რომ ჩამოვარდა საუბარი, აღნიშნა, — ნორჩი ფეხბურთელები ვიდრე ჩვენთან არიან, კარგადაც თამაშობენ და გულშემატკივრებს თავსაც ამახსოვრებენ. აი, შემდეგ სად იკარგება ეს ტალანტები, ღმერთმა იცისო. მართალს ბრძანებდა ბატონი მიშა — რამდენი ყმაწვილის გვარი დაგვიმახსოვრებია, იმედი გვქონდა, დიდ ფეხბურთს ითამაშებდა, მაგრამ, ამაოდ.

დღეს კი, როცა ჩვენს თავს თავად ვპატრონობთ, არც ერთი ნიჭიერი ყმაწვილი არ უნდა გამოგვრჩეს თვალთახედვიდან. არადა, თაობა, უდავოდ, ნიჭიერი მოდის. ჩვენი გაზეთის მკითხველებს ეხსომებათ, შარშან იტალიაში, ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირზე, როგორი აღიარება მოიპოვეს ჩვენმა ბიჭებმა და პრიზების მთელი კოლექცია ჩამოიყოლეს თან. წელს კი ჭაბუკებმა (1973 წელს დაბადებულებმა) გერმანიის ქალაქ სტუმვედში იასპარეზეს საერთაშორისო ტურნირში და მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. თუმცა საპრიზოცაა და საპრიზოც — ქართველმა ფეხბურთელებმა გერმანელი ფეხბურთის მოყვარულებიც მოხიბლეს თავიანთი ოსტატობით და გაისად ამავე ტურნირზე „დააპატიჟებინეს" ორგანიზატორებს თავი.

ახლა კი უშუალოდ ტურნირის შესახებ, რომელშიც ორ ქვეჯგუფში გაერთიანებული რვა გუნდი მონაწილეობდა. I ჯგუფში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებთან ერთად ლაიფციგის „ლოკომოტივი", მანჰეიმის „ვალდჰოფი" და ნორვეგიის ფ. კ. „მოსი" გამოდიოდნენ. ქართველმა ჭაბუკებმა ჯერ „ლოკომოტივი" დაამარცხეს 2:1, შემდეგ დიდი ანგარიშით „მოსს" სძლიეს — 4:0 და ფრედ დაამთავრეს თამაში მანჰეიმთან, რის შედეგადაც ქვეჯგუფში I ადგილი დაიკავეს. დაძაბულად წარიმართა ნახევარფინალური მატჩი „საუთჰემპტონთან", რომელიც ჩვენებმა მინიმალური ანგარიშით 0:1 დათმეს. თუმცა, რა დათმობა ჰქვია, როცა მოედნიდან ჯერ დავით ჯანაშია, შემდეგ კი თემურ კაკუბავა გააძევეს (ჩვენმა ბიჭებმა მეტოქის განზრახ უხეშობა ვერ აიტანეს და სიტყვიერი პროტესტი გამოხატეს, რის გამოც დაისაჯნენ კიდეც).

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში საქართველოს ნაკრების მეტოქე ჰოლანდიის „ტვენტე" იყო. ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა, პენალტების სერიაში კი ქართველები უფრო ზუსტნი იყვნენ და გაიმარჯვეს 3:2.

დავით ჯანელიძე, ზურაბ ქვაჩახია, რომან გოგიტიძე, ალეკო გელაძე, გელა ქორიძე, ზვიად ჯელაძე, ლევან ფესტვენიძე, გიორგი ქინქლაძე, თემურ კაკუბავა, გიორგი ანჩაბაძე, ზვიად პაპიძე, შოთა და აჩიკო არველაძეები, დავით ჯანაშია, კახა კვანტალიანი — აი, ისინი, ვინც ამ ტურნირში იასპარეზა. გუნდს კი ალექსანდრე ჩივაძე და რამაზ შენგელია ხელმძღვანელობდნენ. „გუნდურ" პრიზთან ერთად შოთა არველაძემ „პირადიც" მოიპოვა — საუკეთესო ბომბარდირისა.

ისევ მიშა მესხის სიტყვებით გვინდა დავასრულოთ: რანაირი ბლოკადაც არ უნდა მოგვიწყონ, ჩვენი ბავშვები ყველგან უნდა წავიყვანოთ და საერთაშორისო ფეხბურთის „გაკვეთილები" ვასწავლოთ. ჭეშმარიტად! უნდა იარონ და ისწავლონ!

**ინგა ჩახვაშვილი**

## ევროპის ჩემპიონატი

**I ჯგუფი.** კონტინენტის საფეხბურთო ჩემპიონატის ამ შესარჩევ ჯგუფში პირველ გამარჯვებას მიაღწია ალბანეთის ნაკრებმა, რომელმაც ტირანაში მიიღო ისლანდიის გუნდი. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა აბაზის მიერ 54-ე წუთზე გატანილმა გოლმა.

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 18-3 | 10 |
| ჩეხოსლოვაკია | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 14-7 | 4 |
| ისლანდია | 5 | 1 | 0 | 4 | 4-6 | 2 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 1-19 | 2 |

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **ბელგრადი.** „ცრვენა ზვეზდამ" კვლავ დაამტკიცა, რომ უძლიერესია იუგოსლავიაში. გუნდმა უმასპინძლა „ოსიეკს", იოლად გაიმარჯვა — 5:1 და ჩემპიონის წოდებაც გაინაღდა. ამ მატჩში 3 ბურთი გაიტანა იუგოსლავიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა დარკო პანჩევმა.

● **ნიცა.** საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგ მატჩში მარსელის „ოლიმპიკი" უკვე ჩემპიონის რანგში შეხვდა „ნიცას" და გაიმარჯვა აბედი პელეს მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით — 1:0.

ახლა „მარსელსა" და იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდას" იტალიის ქალაქ ბარიში 29 მაისს ფინალური მატჩი მოელით ევროპის ჩემპიონთა თასზე.

● **დუბლინი.** აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ირლანდიისა და ჩილეს გუნდებს შორის. დაწინაურდნენ სტუმრები (ფაბიან ესტაი), ხოლო საპასუხო ბურთი 82-ე წუთზე გაიტანა დევიდ კელიმ — 1:1.

აღსანიშნავია, რომ ირლანდიელებს ხუთი წელია საკუთარ მინდორზე მარცხი არ განუცდიათ, გარდა ამისა, ეს შეხვედრა საიუბილეო იყო მათი მწვრთნელის ჯეკი ჩარლტონისთვის: მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა ორმოცდამეათე საერთაშორისო მატჩი გამართა. ამ შეხვედრის მეორე წუთზე სერიოზული ტრავმა მიიღო ირლანდიის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის" ცენტრალურმა მცველმა დევიდ ოლირიმ.

● **პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის თასი მოიპოვა ქ. ოსტრავის „ბანიკმა", რომელმაც ფინალში დაამარცხა ტრნავის „სპარტაკი" — 6:1.

● **საფრანგეთის** ცნობილი საფეხბურთო კლუბის „ბორდოს" საკითხი განიხილა ამ ქვეყნის უმაღლესმა სამოქალაქო სასამართლომ და მკაცრი განაჩენი გამოიტანა: „ბორდოს" მე-20 ადგილი მიეკუთვნება საფრანგეთის ჩემპიონატში და მას მეორე ლიგაში გადაიყვანენ. საქმე ისაა, რომ წარსულში ცნობილმა ამ კლუბმა 300 მილიონი ფრანკი (50 მილიონი დოლარი) ვალი ვერ გადაიხადა, რის გამოც, საფრანგეთის ლიგის წესებით, მას ასეთი მკაცრი სასჯელი ელის.

ეს მით უფრო გასაკვირია, რომ სულ რამდენიმე წლის წინ „ბორდო" საუკეთესო გუნდი იყო თავის ქვეყანაში. ჩემპიონობა მოიპოვა 1984, 1985, 1987 წლებში, ბოლო ათწლეულში ორჯერ მოიგო საფრანგეთის თასი და ორჯერ გავიდა ევროპული ტურნირების ნახევარფინალში.



## რა ისმის უცხოეთიდან?

● **სტენლის თასი „პიტსბურგ პინგვინზს"**

● **მარიო ლემიეს ლომის წილი**

**პირველად** თავის 24-წლიან ისტორიაში პროფესიულ ჰოკეისტთა ყველაზე პოპულარული ჯილდო — „სტენლის თასი" „პიტსბურგ პინგვინზმა" მოიპოვა, როგორც ცნობილია, „პლეი-ოფის" სერიის სუპერფინალში ჩემპიონი შვიდი შეხვედრის შედეგით ვლინდება. „პინგვინზმა" მეექვსე ორთაბრძოლა „მინესოტა ნორტ სტარზს" მისსავე მოედანზე მოუგო გამანადგურებელი ანგარიშით — 8:0. ამ გამარჯვებით შეწყდა „პლეი-ოფის" სერია.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, კანადელთა წარმატებაში ლომის წილი მიუძღვის პროფესიული ჰოკეის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ვარსკვლავს მარიო ლემიეს. სხვათა შორის, იგი საუკეთესო იყო ბოლო მატჩშიც: მინესოტელთა კარში გაიტანა ერთი შაიბა და სამი „საგოლე" გადაცემა შეასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეთქმაჰმათე ხმათი

● **ცნობილმა ამერიკელმა კინოვარსკვლავმა მიკი როკიმ პროფესიულ რინგზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. შეხვედრას ესწრებოდა 2 ათასზე მეტი მაყურებელი, მათ შორის ჰოლივუდის ორი ვარსკვლავი — რობერტ კონრადი და ჩაკ პფაიფერი, აგრეთვე, მსოფლიო ექსჩემპიონი ზემძიმე წონაში ლეონ სპინქსი. ოთხრაუნდიან ბრძოლაში როკის მეტოქე იყო სტივ პაუელი. მსაჯებმა ქულებით გამარჯვება კინოვარსკვლავს მიაკუთვნეს. მიკი როკის კინომოყვარულები იცნობენ საკმაოდ გახმაურებული ფილმებით: „ცხრანახევარი კვირა“, „ველური ორქიდეა“, „ანგელოზის გული“ და სხვ.**

● ავსტრალიის სამედიცინო ასოციაციის წინადადებით, კრივი უნდა ამოიღონ თანამეგობრობის ქვეყნების თამაშების პროგრამიდან. სულ მალე ეს ორგანიზაცია აუკრძალავს მედიკოსებს მოკრივეთა შეჯიბრებების მომსახურებას. თუ ეს გადაწყვეტილება განხორციელდა, მაშინ ტურნირების ჩატარება, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება. საინტერესოა, რომ ავსტრალიელ მედიკოსთა პოზიციას იზიარებენ ახალი ზელანდიის, კანადის, დიდი ბრიტანეთის, ფიჯის, ბანგლადეშის, შრი-ლანკისა და სინგაპურის ანალოგიური სამსახურები.

● **ცნობილმა ავსტრალიელმა აფროსანმა იან მიურეიმ რეიტერის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს 1992 წლის რეგატაში — „ამერიკის თასი“. რატომ მიიქცია ამ ცნობამ სპეციალისტთა ყურადღება? საქმე ის გახლავთ, რომ რეგატის მონაწილენი უკვე იმყოფებიან ამერიკაში და წვრთნასაც გადიან, მიურეის კი ჯერ არც კი გაუმართავს ბოლომდე თავისი ახალი ნავი.**

● ავსტრიის ფირმამ „მობილ ოილ აუსტრიამ“, რომელიც ბრატისლავის მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირის ერთ-ერთი სპონსორი გახლავთ, პრეს-კონფერენცია მოაწყო სერგეი ბუბკასთან. ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რატომ უმატებს თავის მსოფლიო რეკორდებს თითო სანტიმეტრს, მძლეოსანმა განაცხადა: „ასე არ მოიქცა რობერტ ბიმონი, ერთბაშად გადახტა 890 სანტიმეტრზე და რა გამოვიდა მერე? შედეგი ვერასოდეს გაიმეორა და საერთოდ, გაქრა ასპარეზიდან. მე მინდა ხალხს დიდხანს ვახსოვდე“.

● **ინდიანაპოლისის ცნობილ ავტორბოლაში „ინდი-500“ მონაწილეობას მიიღებს ანდრეტების ოჯახის ოთხი წარმომადგენელი. წინასწარ სერიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა საშუალო ძმამ მარიომ. მაგრამ, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, წარმატების ურიგო შანსები არა აქვთ სხვა ძმებსაც, კერძოდ, მაიკლს, ჯონს და ჯეფს.**

● გერმანიის ქალაქ ჰოკენჰაიმში წვრთნის დროს დაშავდა ცნობილი ავსტრალიელი მოტოციკლისტი მაიკლ დუენი, რომელიც მსოფლიო თასის წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი ლიდერია 500 კბ სმ კლასში. დუენი, რომელიც „ჰონდას“ მარკის მოტოციკლს მართავდა, ერთ-ერთ მოსახვევში მოცურდა, მაგრამ ტრავმა უმნიშვნელო გამოდგა. მცირედი შესვენების შემდეგ იგი კვლავ მოაჯდა მანქანას და ერთ-ერთ წრეზე სარეკორდო დრო — 2.01,934 აჩვენა.

● **ევროპის ქვეყნებში საკმაოდ პოპულარულია ფრანგული კრივი — სავატე. უკვე სისტემატურად იმართება არათუ კონტინენტის პირველობები, არამედ მსოფლიო ჩემპიონატებიც. აი ახლაც, პარიზში გაიმართა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც გაიმარჯვა რვა ფრანგმა მოკრივემ და ორმა ჰოლანდიელმა.**

● ადვილი შესაძლებელია, მსოფლიოს საუკეთესო აფროსანი წლეულს გახდეს ახალზელანდიელი დევიდ ბარნსი. საქმე ისაა, რომ მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთ წინასწარ ეტაპზე, რომელიც ინგლისში მოეწყო, ბარნსმა 18 რბოლიდან მოიგო... 16. ასეთ, თითქმის აბსოლუტურ შედეგს, აფროსნები იშვიათად აღწევენ.

## ნინო სალუქვაძეს გაუთანაბრდა

**ზაგრები.** იუგოსლავიის ამ ქალაქში, ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე სეულის ოლიმპიადის ჩემპიონმა იასნა სეკარიჩმა (იუგოსლავია) თბილისელი ნინო სალუქვაძის მსოფლიო რეკორდი გაიმეორა სპორტული პისტოლეტით სროლაში. სეკარიჩმა წინასწარ შეჯიბრებაში 593 ქულა დააგროვა, საბოლოო ჯამში (ფინალური სროლების გათვალისწინებით) კი 686 და 6 ქულით გაუსწრო მეორე-მესამე ადგილებზე გასულ ანა იონცისა (უნგრეთი) და მარია გვოზდევას (ბულგარეთი), რომლებმაც ერთნაირი შედეგი აჩვენეს (680-680).

ნებისმიერი პისტოლეტით სროლაში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ბულგარელი სპას კოპრინკოვი (658), რომელმაც შესაბამისად ორი და სამი ქულით აჯობა მომდევნო ადგილებზე მყოფ იაპონელ მამორა ინაგაკისა და ინგლისელ მაიკლ შოლტს.

## ტაისონს არ მოსწონს

**მსოფლიო** ექსჩემპიონი კრივში მძიმე წონის პროფესიონალთა შორის მაიკ ტაისონი, რომელიც დღესდღეობით ამ ტიტულის ნომერ პირველ პრეტენდენტად ითვლება, ყველა სადავო საკითხს მსაჯებთან, მენეჯერებთან ან ორგანიზაციებთან (რომ არაფერი ვთქვათ საკუთარ მეუღლეზე) სასამართლოს საშუალებით აგვარებს. მართლმსაჯულება და კანონი ექსჩემპიონს განსაკუთრებით შეუყვარდა მას შემდეგ, რაც ტიტული დაკარგა. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ამჯერად სხვადასხვა შტატის სასამართლოში ტაისონის საჩივრების შედეგად ათამდე საქმეა აღძრული.

ბოლო საჩივარი, რომელიც საპრემიო ფონდის განაწილებას ეხება, ტაისონმა ამას წინათ შეიტანა. ამჯერად იგი უჩივის მოკრივეთა მსოფლიო საბჭოს და მოითხოვს ამ კანონის გადასინჯვას. საქმე ის გახლავთ, რომ წესის თანახმად, მსოფლიო ჩემპიონი ყოველი მატჩიდან ჰონორარის 75 პროცენტს იღებს, პრეტენდენტი კი — 25-ს. ეს შეფარდება ტაისონს ესიმპათიურებოდა მანამ, სანამ ჩემპიონი იყო. მას შემდეგ კი, რაც დაკარგა ტიტული, თვლის, რომ საბჭო მას ძარცვავს, ან, ყოველ შემთხვევაში, უსამართლოდ ექცევა. ტაისონს მიაჩნია, რომ ყველა დროის საუკეთესო მოკრივეა მოჰამედ ალის შემდეგ და ამიტომ ყოველი შეხვედრისთვის საპრემიო ფონდის 25 კი არა, 45 პროცენტი ერგება.

## ლუკა კადალორას „ჰეთ-თრიქი“

**კალიფორნიაში** „ლაგუნა სეკას“ ტრასაზე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ეტაპი საგზატკეცილო წრიულ მოტორბოლაში. 250 და 500 კუბური სანტიმეტრი მოცულობის ძრავიანი მოტოციკლებით მოასპარეზე პილოტებს შორის გათამაშდა ამერიკის შეერთებული შტატების „გრან პრი“.

500 კუბური სანტიმეტრი მოცულობის ძრავიანი მოტოციკლებით ასპარეზობაში კვლავ იმარჯვა მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა, ამერიკელმა უეინ რეინიმ („იამაჰა“). მან ავსტრალიელი მაიკლ დუენი („ჰონდა“) და თანამემამულე კევინ შვანცი („სუძუკი“) დაამარცხა და გულშემატკივართა ოვაციების თანხლებით, „ყალყზე შეყენებული“ მოტოციკლით გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

250 კბ სმ მოცულობის ძრავიანი მოტოციკლებით რბოლაში 28 წლის იტალიელი მრბოლის ლუკა კადალორას დებიუტმა იაპონური წარმოშობის ამერიკელი მენეჯერის ერი კანემოტოს „როტმან ჰონდას“ გუნდში წარმატებით ჩაიარა. მან ზედიზედ სამი (იაპონია, ავსტრალია, აშშ) ეტაპი მოიგო და პირად ჩათვლაში საგრძნობლად დაწინაურდა. მას უკვე მომავალ ჩემპიონადაც კი ასახელებენ. კანემოტოს იმედი აქვს, რომ კადალორა, რომელიც ადრე 125 კუბური სანტიმეტრი მოცულობის ძრავიანი მოტოციკლით ასპარეზობდა, მალე მოიპოვებს უძლიერესის სახელს და ძალას უფრო მაღალ კლასში მოსინჯავს.

ლუკა კადალორა ორი წლის განმავლობაში გამოდიოდა ჯაკომო აგოსტინის გუნდში („იამაჰას“ მოტოციკლით), მაგრამ შარშან მას უთანხმოება მოუვიდა მენეჯერთან და იტალიელი პილოტი ერი კანემოტომ მიიწვია.

250 კბ სმ მოცულობის ძრავიანი მოტოციკლებით მოასპარეზე პილოტებს „ლაგუნა სეკაზე“ 30 წრე უნდა გაევლოთ, მაგრამ ერთ-ერთ მოსახვევთან კადალორას მეტოქე წაიქცა. პილოტი არ დაშავებულა, მაგრამ მისი მოტოციკლი ტრასის შუაში დარჩა. სხვებს რომ ტრავმა არ მიეღოთ, მთავარმა მსაჯმა ჯიმ რეინოლდსმა მე-18 წრეზე შეწყვიტა რბოლა.

ნახევარსაათიანი შესვენების შემდეგ შეჯიბრება განახლდა და დარჩენილი 12 წრე კადალორამ უშეცდომოდ გაიარა.

125 კბსმ მოცულობის ძრავიანი მოტოციკლებით რბოლა არ ჩატარებულა.

ტექნიკური შედეგები:

250 კბ სმ: 1. ლუკა კადალორა (იტალია, „ჰონდა“) — 45 წუთი, 07,590 წამი; 2. ვილკო ზელენბერგი (ჰოლანდია, „ჰონდა“) — 45.13, 664; 3. ლორის რეჯიანი (იტალია, „აპრილა“) — 45.22,634.

პირადი ჩათვლა: 1. კადალორა — 60 ქულა; 2-3. ზელენბერგი, კარდუსი — 45-45.

500 კბ სმ: 1. უეინ რეინი (აშშ, „იამაჰა“) — 51 წუთი, 19,361 წამი; 2. მაიკლ დუენი (ავსტრალია, „ჰონდა“) — 51.26,335; 3. კევინ შვანცი (აშშ, „სუძუკი“) — 51. 35,964; 4. ჟან-ფილიპ რუჯია (საფრანგეთი, „იამაჰა“) — 51. 39,292.

პირადი ჩათვლა: 1. რეინი — 55 ქულა; 2. დუენი — 51; 3. შვანცი — 46.

**დავით ჩუბინიძე**

## რა ისმის უცხოეთიდან?

**ნბა-ს** (კალათბურთის ეროვნული ასოციაცია) ჩემპიონატის ნახევარფინალურ სერიებში ორივე ფავორიტი გამოიკვეთა. აღმოსავლეთის კონფერენციიდან ეს გახლავთ „ჩიკაგო ბულსი“, დასავლეთის კონფერენციიდან — „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“.

გასულ შაბათს „ჩიკაგოს“ კალათბურთელები მესამედ შეხვდნენ ნბა-ს ახლანდელ ჩემპიონს „დეტროიტ პისტონსს“. მაიკლ ჯორდანის გუნდი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე იყო და ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა. მიმომხილველები დეტროიტელთა ყოველი მარცხის შემდეგ აღნიშნავენ, რომ ჩემპიონის წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ ტრავმირებული აიზია თომასი მთელი ძალით ვერ თამაშობს. ეს, ალბათ, ასეც გახლავთ, თუმცა... „დეტროიტ პისტონსისათვის“ ვერაფერი იმედია.

აი, ამ ნახევარფინალური წყვილის წინა შეხვედრათა შედეგები:

19 მაისი. „ჩიკაგო“ — „დეტროიტი“ 94:83

21 მაისი. „ჩიკაგო“ — „დეტროიტი“ 105:97.

25 მაისი. „ჩიკაგო“ — „დეტროიტი“ 113:107.

გუშინ გაიმართა მეტოქეთა მეოთხე შეხვედრა. თუ „ჩიკაგომ“ ამჯერადაც გაიმარჯვა, მაშინ შეწყდება ბრძოლა და გუნდი ფინალისტი გახდება.

დასავლეთის კონფერენციის ნახევარფინალური წყვილის — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსისა“ და „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის“ ორთაბრძოლაში, როგორც ვიუწყებოდით, ანგარიში თანაბარი იყო — 1:1. ორი მომდევნო მატჩი ლოს-ანჯელესელმა კალათბურთელებმა მოიგეს და დაწინაურდნენ — 3:1.

აი, ამ შეხვედრათა შედეგები:

18 მაისი. „ლეიკერსი“ — „პორტლენდი“ 111:106.

21 მაისი. „ლეიკერსი“ — „პორტლენდი“ 98:109.

24 მაისი. „ლეიკერსი“ — „პორტლენდი“ 106:92

26 მაისი. „ლეიკერსი“ — „პორტლენდი“ 116:95.

### „ბაჟენებული ცხენი“

**ასეთი** უცნაური მეტსახელი აქვს „დევრ როიალისა“ და სამხრეთ კორეის ნაკრების თავდამსხმელ კიმ ჯო-სუნს, რომელიც მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში მონაწილეობდა. 1989 წელს კიმ ჯოსუნი აზიის № 1 ფეხბურთელად აღიარეს.

### „სპორტლოტო“

**გაიმართა** „სპორტლოტოს“ 1991 წლის 21-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 25 (ციგაობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 29 (სასტენდო სროლა), 42 (ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 6 (ძიუდო), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 34 (ბალახის ჰოკეი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

### „სპორტპროგნოზი“

**21-ე ტირაჟის შედეგები (25-26 მაისი)**

1—1, 2—X, 3—1, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—1, 9—2, 10—1, 11—1, 12—X, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.



**ტურისტული სეზონი კარგა ხანია დაიწყო და ბუნების მოყვარულთა მრავალრიცხოვანი არმია სულ იმას ფიქრობდა, სად ეშოვნა სალაშქრო ცხოვრების ატრიბუტები, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარია დეფიციტური კარვები.**

**მაგრამ იმ სპორტულ კოლექტივებს და დაწესებულებებს, რომლებსაც საამისო ვალუტა აქვთ, შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. საქმე ისაა, რომ ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობის გაერთიანება „პრაგოექსპორტმა“ ახლახან მოსკოვში წარმოადგინა ტურისტული კარვების რამდენიმე მოდიფიკაცია. ეს კარვები გამოირჩევიან იმით, რომ ტევადი, მოხერხებული და მსუბუქია, სწრაფად შეიძლება გაიშალოს და აიკეცოს.**

## საღამოს ტელეტაიპი

● **პარიზი.** მსოფლიოს მესამე ჩოგანი ივან ლენდლი, რომელსაც სამჯერ აქვს მოგებული საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (1984, 1986, და 1987 წ.წ.), ტრავმის გამო არ ასპარეზობს წლევანდელ ტურნირში, რომელიც გუშინ დაიწყო.

● **ოლბია.** კვირას იტალიის ამ ქალაქში დაიწყო პროფესიონალ ველოსიპედისტთა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რბოლა — „ჯირო დ' იტალია“. 193-კილომეტრიანი პროლოგი მოიგო 27 წლის ფრანგმა ფილიპ კასადომ — 4:37.54. სტარტზე ფავორიტებს აშკარად არ გაუმართლა. ესპანელი პედრო დელგადო 27-ე იყო, იტალიელი ჯანი ბუნიო — 31-ე, ფრანგი ლორან ფინიონი — 47-ე, ამერიკელი გრეგ ლემონდი — 72-ე.

● **დიუსელდორფი.** მსოფლიო თასის ფინალურ მატჩში შვეციის ჩოგბურთელთა ნაკრებმა დაამარცხა იუგოსლავიის გუნდი — 2:1.

● **ჟენევა.** ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 150 ათასი დოლარი) მოიგო მანუელა მალეევამ (შვეიცარია), რომელმაც ფინალში კანადელი ელენ კელესი დაამარცხა — 6:3, 3:6, 6:3.

● **ვლადისლავოვო.** პოლონეთის ამ ქალაქში მიმდინარე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატში 60 კგ წონის ათლეტთა შორის ოქროს მედალი ბულგარელმა ნიკოლაი პეშალოვმა მოიპოვა — 302,5 კგ.

● **ტორონტო.** ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ლიგის მორიგ მატჩში („ა“ ჯგუფი) კანადის ნაკრებმა აჯობა საფრანგეთის გუნდს — 3:2.

● **ბრიდლინგტონი.** ინგლისის გზებზე მრავალდღიანი რბოლის პირველ ეტაპზე საუცხოო დრო აჩვენა ადგილობრივმა ველოსიპედისტმა ჯონ კლეიმ. 2,4 კილომეტრი მან 3.07,09-ში დაფარა.

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ე. ქორქია, კორექტორები: მ. ძძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, სიშარაულის, 28.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20